



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
გამგეობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 2550  
15/06/2016

2550-09-2-201606151236



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს**

*ბატონო გიორგი,*

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილისა და „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოგიდგინებ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

„სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია პირის სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ შეატყობინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს და პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ შეადგინოს, გაცეს ოქმი და პირის გარდაცვალების ფაქტის თაობაზე შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გააგზავნოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლისათვის შესაბამისი ვალდებულების დაკისრების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა უზრუნველყოს გამგეობის დებულებაში ცვლილების შეტანა.

ვინაიდან აღნიშნული ცვლილება უნდა ამოქმედდეს 2016 წლის 3 ივლისს, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია დადგენილების პროექტი განხილულ და მიღებულ იქნას დაჩქარებული წესით, საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

პროექტი მომზადებულია გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ. პროექტის განხილვისას მომხსენებლად წარმოგიდგინთ ამავე სამსახურის უფროსის, შოთა ჩაგუნავას კანდიდატურას.

ზაზა ურუშაძე



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2016 წლის ივნისი

ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N22 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი 18/08/2014) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებულ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების“ მე-14 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4<sup>1</sup> პუნქტი:

„4<sup>1</sup>. წარმომადგენელი ვალდებულია:

ა) თვითმმართველი ერთეულის შესაბამის დასახლებაში პირის სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადების შესახებ შეატყობინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს (სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო).

ბ) თვითმმართველი ერთეულის შესაბამის დასახლებაში პირის გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შესახებ შეადგინოს, გაცეს ოქმი და პირის გარდაცვალების ფაქტის თაობაზე შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში გააგზავნოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. (სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო).

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 3 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე